

უაკ 377+ 378 + 37+340.13 + 349

სტუდენტური სპორტი და საუნივერსიტეტო განათლება

ჭილაძე გიორგი

ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია:

სტუდენტური სპორტი ბევრ ქვეყანაში წარმოადგენს ეროვნული სპორტული პოლიტიკის საფუძველს და რეგულირდება კანონებით და ნორმატიული აქტებით. უნივერსიტეტებისათვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართულებით შესაბამისი აქტიურობის ხარისხისათვის დამახასიათებელია მრავალდონიანი სტრუქტურა. შეინიშნება უნივერსიტეტების გაზრდილი როლი მოძრაობაში „სპორტი ყველასათვის“. გაწეული სამუშაოების შესახებ ყოველწლიურ საუნივერსიტეტო ანგარიშებში ცალკე მუხლად უნდა აისახოს მათ სტრუქტურაში შემავალი სპორტული დაწესებულებების საქმიანობა. ამ სტრუქტურებს უნდა გააჩნდეთ ცალკე ბალანსი.

საქართველოში საუნივერსიტეტო სპორტული ასოციაციები მიზანშეწონილია, შეიქმნას უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ინიციატივით. ისინი უნდა სარგებლობდნენ სახელმწიფო დახმარებით. ტერიტორიული, რეგიონული და მუნიციპალური გაერთიანებები ხელს უნდა უწყობდნენ ასეთი ასოციაციების განვითარებას. სპორტი შეიძლება განვიხილოთ სტუდენტთა ცხოვრების პრიზმაშიც – როგორც საუნივერსიტეტო სპორტის წარმატების, გარანტიის მნიშვნელოვანი ელემენტი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში, ეროვნული საუნივერსიტეტო განათლების სისტემის მისიის რეალიზაციისათვის, საქართველოს უნივერსიტეტებში საჭიროა შეიქმნას და განვითარდეს შესაბამისი სტრუქტურები. მათი თანაარსებობა უზრუნველყოფს გარკვეული კონკურენტუნარიანობის და სპორტული სტრუქტურების მაღალ „წარმადობას“ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: საუნივერსიტეტო სპორტი, უმაღლესი განათლება, სპორტის სამართალი, განათლების მენეჯმენტი

სპორტის შესახებ საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტების შესწავლის, სპორტული სტუდენტური მოძრაობის უცხოური გამოცდილების განზოგადების (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ისრაელი, ბულგარეთი, ჩინეთი, პოლონეთი, აშშ, საფრანგეთი, იაპონია) და ეროვნული პროგრამების, რომლებიც ეხება საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას, აგრეთვე აშშ-ის უმსხვილესი უნივერსიტეტების გამოცდილების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტური სპორტი ძალიან ბევრ ქვეყანაში წარმოადგენს ეროვნული სპორტული პოლიტიკის საფუძველს და რეგულირდება კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს უნივერსიტეტებისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართულებით, შესაბამისი აქტიურობის ხარისხისათვის დამახასიათებელი გახდეს მრავალდონიანი სტრუქტურა; სულ უფრო მეტმა სტუდენტმა მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტების სპორტულ პროგრამებში.

აუცილებელია, რომ ხელი შეეწყოს უნივერსიტეტების როლის ამაღლებას მოძრაობაში „სპორტი ყველასათვის“, რაც უდავოდ უპასუხებს უნივერსიტეტების განვითარების ინტერესებს, იმის შესაძლებლობას, რომ სტუდენტებმა განაგრძონ მეცადინეობა სპორტის არჩეულ მიმართულებებში, უნივერსიტეტების დარგობრივ სექციებსა და კლუბებში, რომლებიც ფუნქციონირებენ ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს უნივერსიტეტებში მოსაწესრიგებელია სახელმწიფო მხარდაჭერის მიდგომებიც საუნივერსიტეტო სპორტისადმი. ჩემი აზრით, იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ დაფინანსებაში, ისე სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების დაწესებაში.

აღსანიშნავია, რომ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში გაწეული სამუშაოების შესახებ ყოველწლიურ საუნივერსიტეტო ანგარიშებში ცალკე მუხლად ასახავენ მათ სტრუქტურაში შემავალი სპორტული დაწესებულებების საქმიანობას. ამ სტრუქტურებს გააჩნიათ ცალკე ბალანსი.

მიზანშეწონილი იქნება, თუკი საუნივერსიტეტო სპორტული სტრუქტურებიდან სპორტული საქმიანობის და უნივერსიტეტების სპორტული ნაგებობების ექსპლუატაციის შედეგად შემოსული თანხები, გამოყენებული იქნება მხოლოდ უნივერსიტეტის სპორტული მიზნებისთვის. საუნივერსიტეტო სპორტული დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე კი უნდა დაინიშნოს სპეციალური სპორტული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი.

ჩემი აზრით მიზანშეწონილია, რომ საქართველოში საუნივერსიტეტო სპორტული ასოციაციები შეიქმნას უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ინიციატივით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა დაცვით. ისინი უნდა სარგებლობდნენ სახელმწიფო დახმარებით. ხოლო ტერიტორიული, რეგიონული და მუნიციპალური გაერთიანებები ხელს უნდა უწყობდნენ ასეთი ასოციაციების განვითარებას. კერძოდ, ისინი ასოციაციებს გამარტივებული რეჟიმით უნდა აძლევდნენ საკუთარ სპორტულ ბაზებთან, აღჭურვილობასა და ინვენტართან დაშვებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, საუნივერსიტეტო სპორტული ასოციაციებს დაფუძნებისა და რეგისტრაციის შემდეგ უფლება მიეცემათ გაერთიანდნენ სპორტულ ფედერაციებსა და საუნივერსიტეტო სპორტულ კავშირებში.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში სპორტის განვითარების ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება ევროპულ უნივერსიტეტებში არათუ არ ითვლება უკვე გადაჭრილ პრობლემად, არამედ პირიქით, ხორციელდება მათი აქტუალიზაცია ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტით, როგორსაც წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

ცხადია, რომ საქართველოში მხოლოდ საკანონმდებლო ნორმათა (საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“,

საქართველოს კანონი „უმაღლესი პროფესიული განათლების შესახებ“ და ა.შ.) შეფასება ვერ მოგვცემს იმ მდგომარეობის ადეკვატური ხედვის საშუალებას, რასაც ადგილი აქვს საუნივერსიტეტო სპორტის სფეროში. ამიტომ აუცილებელია, რომ დამატებით გავანალიზოთ ამ სფეროში სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალურად მიღებული დოკუმენტები, აგრეთვე ექსპერტთა შეფასებები და დასკვნები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ სპორტი არის ინდივიდუალური განვითარების სრულფასოვანი შემადგენელი ნაწილი. ფიზიკური აღზრდა ამზადებს ინდივიდს იმისათვის, რომ განხორციელდეს პირის სრული ინტეგრაცია საზოგადოებაში. იმავდროულად, საჭიროა განხორციელდეს კონტროლი მისი ჯანმრთელობის განვითარების პოტენციალზე, რასაც ითვალისწინებს შესაბამისი პრაქტიკა.

სპორტი შეიძლება განვიხილოთ სტუდენტთა ცხოვრების პრიზმაშიც – როგორც საუნივერსიტეტო სპორტის წარმატების, გარანტიის მნიშვნელოვანი ელემენტი. საუნივერსიტეტო სპორტი არ დაიყვანება მხოლოდ დასვენების რეალიზაციის უბრალო ორგანიზაციამდე, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური განათლების მნიშვნელოვანი ელემენტი. ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტების საქმიანობის სპორტული ასპექტის შესწავლა უნდა შევიდეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ განხორციელებული შეფასების ეროვნულ სისტემაში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში, ეროვნული საუნივერსიტეტო განათლების სისტემის მისიის რეალიზაციისათვის, საქართველოს უნივერსიტეტებში საჭიროა შეიქმნას და განვითარდეს შესაბამისი სტრუქტურები.

უპირველეს ყოვლისა, საკითხი ეხება სპორტის საუნივერსიტეტო სამსახურებს – უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება ტრანსფორმირდნენ სპორტის საერთაშორისო სამსახურებად (იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე უნივერსიტეტი კომპაქტურად არის განთავსებული ერთ ტერიტორიაზე, ერთმანეთის გვერდით). თუკი შევხებით ასეთი სამსახურების დაფინანსებას, მიზანშეწონილია, თუკი სახელმწიფო დააფინანსებს მათი ბიუჯეტის დაახლოებით მეოთხედს, ბიუჯეტის ნახევარი კი შეივსება სტუდენტების მიერ გადახდილი საწევრო შენატანების, აგრეთვე საუნივერსიტეტო სპორტული მოედნების და ნაგებობების, ინვენტარის იჯაროდან შემოსული თანხების ხარჯზე. რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან – დარჩენილ 25% იგი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სუბვენცია. ანუ, უნივერსიტეტებმა საკუთარ ბიუჯეტებში უნდა გაითვალისწინონ ეს თანხები.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურას პროფესიული სპორტული მომზადების ორგანიზაციის განხორციელების მიზნით უნდა წარმოადგენდეს სპორტულ-მეთოდური გაერთიანებები.

საუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების მიზნით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპორტული ასოციაციები, რომლებიც აუცილებელია შეიქმნას საქართველოს არა ცალკეულ, არამედ ყველა უნივერსიტეტში.

ისინი მიზანშეწონილია, რომ იმართებოდეს სტუდენტების და პროფესიული სპორტული მომზადების პედაგოგების მიერ. ასოციაცია უნდა წარმოადგენდეს ღია ტიპის საზოგადოებებს და მათში თავისუფლად უნდა შეეძლოს გაწევრიანება სტუდენტებსა და უნივერსიტეტის პედაგოგებს.

„სპორტის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის კანონი ითვალისწინებს სპორტის მართვაში ერთ–ერთი ძირითადი რგოლის – ეროვნული სპორტული ფედერაციების ჩამოყალიბების საკითხს. ასეთი სტრუქტურა მიზანშეწონილია შეიქმნას უმაღლეს სკოლაშიც – საუნივერსიტეტო სპორტული ეროვნული ფედერაციების სახით. ისინი უნდა ახორციელებდნენ სტუდენტთა რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონის სპორტულ შეჯიბრებებს. აღნიშნული სტრუქტურა უნდა შედიოდეს საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციაში. ფედერაციის მართვა უნდა ხორციელდებოდეს სტუდენტებისა და ამ სტატუსის არმქონე პირების მიერ, პარიტეტის საფუძველზე.

სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის ეჭვგარეშეა სპორტული კლუბების როლი და მნიშვნელობა. ასეთი სტრუქტურა უნდა არსებობდეს უნივერსიტეტებშიც საუნივერსიტეტო სპორტული კლუბების სახით. სწორედ მათ უნდა იტვირთონ საუნივერსიტეტო ქალაქებში სპორტული ღონისძიების ორგანიზაცია იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტებმა მონაწილეობა მიიღონ დიდ სპორტულ ფორუმებში;

სპორტის მართვაში სტუდენტთა როლის ამაღლების, აგრეთვე სპორტის მეცნიერებაში კვლევებისა და ეროვნული სპორტული ორგანიზაციებისათვის ხელშეწყობის მიზნით მიზნით, საქართველოში მიზანშეწონილია შეიქმნას საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული საბჭო.

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული სტრუქტურების თანაარსებობა უზრუნველყოფს გარკვეული კონკურენტუნარიანობის და სპორტული სტრუქტურების მაღალ „წარმადობას“ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“. თბ., 1999
2. ჭილაძე გ. სპორტის სამართლის ზოგიერთი თეორიულ-იურიდიული ასპექტი. //ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ახალციხე, 2010 წლის 24 დეკემბერი.
3. ჭილაძე გ. ინოვაციური სამართლის ზოგიერთი ასპექტი// ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ახალციხე, 2010 წლის 11 ივნისი, გვ.127-128
4. Chiladze G.B. Olympic Pedagogy, Olympic Culture and Intellectual Property in Georgia. //2nd International Symposium on Olympic and Paraolympic Pedagogy. Tehran, (I.R.Iran), 2008, 23-24 February.
5. Чиладзе Г.Б. Спорт: правовые, культурологические и интеллектуально-творческие аспекты // Международный научный конгресс «Олимпийский спорт и спорт для всех» Посвященный 80-летию Национального университета физического воспитания и спорта Украины. Украина, Киев, 5-8 Октября 2010, с.705
6. Чиладзе Г.Б. Некоторые аспекты университетского спортивного образования в Грузии // Русенский университет «Ангел Кинчев». Ежегодная международная конференция Русенского университета и Русенского союза ученых. Болгария, г.Русс, 29-30 Октября, 2010, с.188-192
7. Chiladze G.B., Aptsiauri L.S. Social-Cultural and Juridical Meaning of Sport in the Axiological Space of Modern Education // Latvian Academy of Sport Education. // 3rd Baltic Sport Science Conference Physical Activity and Sport in Changing Society: Research, Theory, Practice and Management. //Abstracts. Latvia, Riga April 29- May 1, 2010, p.58
8. Чиладзе Г.Б., Кобелашвили Д.А., Кобелашвили Г.З. Правовая регламентация использования спортивных программ в туристическом комплексе Государственный университет Ш.Руставели Государственный департамент туризма и курортов АР Аджария 2-ая Международная научно-практическая конференция «Туризм: экономика и бизнес» Батуми, 4-5 июня, 2011, С.279-283
9. Чиладзе Г.Б. Некоторые правовые аспекты спортивного образования в Грузии // Московская государственная юридическая академия им. О.Е. Кутафина; 5-ая международная научно-практическая конференция «СПОРТИВНОЕ ПРАВО: ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ» Москва, 30 мая, 2011, с. 176-178

Article received: 2011-12-11